საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

**დამტკიცებულია**
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№733 დადგენილებით

**მოდიფიცირებულია**
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
№ 01-05-04/95 დადგენილებით

# ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

## პროგრამის სახელწოდება

| |
|---|
| ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა |
| Business Organization and Management |

## ფაკულტეტი

| |
|---|
| სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი |
| Faculty of Transportation and Mechanical Engineering |

## პროგრამის ხელმძღვანელი

| |
|---|
| პროფესორი მურმან ბლიაძე |

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
(Bachelor of Business Administration)
მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

## სწავლების ენა

ქართული

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## პროგრამის აღწერა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე

დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS).

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულ კრედიტებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სავალდებულო სასწავლო კურსები – 174 ECTS კრედიტი ;

არჩევითი სასწავლო კურსები – 66 ECTS კრედიტი;

სავალდებულო სასწავლო კურსების დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშავოს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები და იგი მოიცავს:

ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო საბაზისო კურსებს — 33 ECTS კრედიტი;

სპეციალობასთან დაკავშირებული ზოგადეკონომიკურ და ზოგადმენეჯერულ სასწავლო კურსებს –37 ECTS კრედიტი;

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს –89 ECTS კრედიტი.

პრაქტიკას –5 ECTS კრედიტი

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას –10 ECTS კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტის დანიშნულებაა სტუდენტს გააცნოს მომავალი პროფესიული საქმიანობის გარემო, მისცეს საშუალება შეაჯამოს უნივერსიტეტში მიღებული განათლება, გაუძლიეროს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, შეაგროვოს მასალები საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად.

საბაკლავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს გამოუმუშავებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანა, წარმოადგინოს ანგარიშის სახით როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის ფორმით, ჩაერთოს დისკუსიაში და შეძლოს არგუმენტირებულად დაასაბუთოს მიღებული შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსები ორი სახისაა:

1. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, რომელც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სპეციალობაში გაიღრმავოს ცოდნა და გამოიმუშავოს უნარები საკუთარი ინტერესების შესაბამისად და მოიცავს –45 ECTS კრედიტს.

2. თავისუფალი კრედიტები, რომელიც არ არის დაკავშირებული სპეციალობასთან და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად სხვადსხვა სფეროში შეიძინოს ცოდნა–უნარები და მოიცავს –21 ECTS კრედიტს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ (იხ. http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/martvis_%20instruqc_18_SD.PDF).

პირველი წლის სასწავლო პროცესი ეთმობა 31 ECTS კრედიტის ზოგად საუნივერსიტეტო და სპეციალობისთვის განკუთვნილ საბაზისო 29 ECTS კრედიტის ზოგადეკონომიკურ, ზოგადმენეჯერულ და შესავალი სასწავლო კურსების ათვისებას.

მეორე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა 15 ECTS კრედიტის ზოგადეკონომიკურ და ზოგადმენეჯერულ და 45 ECTS კრედიტის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლას.

მესამე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა 15 ECTS კრედიტის სპეციალური სასწავლო კურსისა და 5 ECTS კრედიტის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლას.

მეოთხე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა 30 ECTS კრედიტის არჩევით კურსებს, 15 ECTS თავისუფალი კრედიტის ათვისებას, პრაქტიკის გავლას (5 ECTS კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მომზადება–დაცვას (10 ECTS კრედიტი).

სტუდენტმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა" ფარგლებში ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით.

პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე.

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც შეძლებს: სატრანსპორტო და სამრეწველო ბიზნესის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ფირმის მენეჯმენტის წარმატებით გაცნობიერებას და განხორციელებას; ბიზნეს-საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, მათ გააზრებას, მათზე მომქმედი ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ამის საფუძველზე სწორი დასკვნების გამოტანას; ბიზნეს-პროექტების და სტრატეგიების შემუშავებაში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასებაში, ორგანიზაციების, მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების მენეჯმენტის განხორციელებასა და ბიზნეს–საქმიანობაში ეკონომიკური, საფინანსო, სადაზღვევო, მარკეტინგული, ინოვაციური და სხვა პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღებას.

## სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

**ცოდნა და გაცნობიერება**

ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირების, ეფექტიანობის გაზომვის, ბიზნეს–პროცესის მონაწილეების განსაზღვრის მეთოდების ათვისება;

მარკეტინგული მონაცემების შეგროვების და გაანალიზების, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრის და შესაბამისი ქმედებების განხორციელების თეორიული საფუძვლების ცოდნა;

ბიზნესის ადმინისტრირების ეკონომიკური, მენეჯერული, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შესწავლა და გაცნობიერება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

ორგანიზაციებში პროცესების მართვა, პროცესების იდენტიფიცირება. ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს–პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;

ძირითადი მარკეტინგული საქმიანობა: მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;

ძირითადი ფინანსური საქმიანობა: ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;

პროექტების მართვა: მიზნის ფორმულირება, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა;

პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვა; საჭირო რესურსების განსაზღვრა და სხვა;

ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა. პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, აქვს მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი;

ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირება.

**დასკვნის უნარი**

ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების ანალიზის საფუძველზე განმარტების მიცემისა და დასკვნის გამოტანა, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

**კომუნიკაციის უნარი**

ბიზნესის სფეროში იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად და შემოქმედებითად გამოყენება. უცხოურ ენაზე ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.

**სწავლის უნარი**

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

**ღირებულებები**

ბიზნესისა და მენეჯმენტის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად, პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვა, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

## სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული
☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

5. ლაბორატორიული მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

6 . პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე

დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

7. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

8. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი - ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

9. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

10. ანალიზი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

11. სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

12. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

13. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთაზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

14. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

15. ანალიზი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

16. სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

17. დამოუკიდებელი მუშაობა. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

18. კონსულტაციები. სტუდენტს ხელს უნდა უწყობდეს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.

19. წერითი მუშაობის მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესეს შესრულებას და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდები მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

## დასაქმების სფერო

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ბაკალავრიატის პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებსა და ორგანიზაციებში, მათ შორის სამრეწველო და სატრანსპორტო დაწესებულებებში და მათი მოქმედების არეალი განისაზღვრება დამწყები სპეციალისტიდან, აღმავალი ხაზით სხვადასხვა დონის მენეჯერამდე. აგრეთვე, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში სხვადასხვა პოზიციის ოფიცრებად, მენეჯერ–ადმინისტრატორებად.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 102**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

| № | საგანი | დაშვების წინაპირობა | ECTS კრედიტი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | |
| | | | სემესტრი | | | | | | | |
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| 1 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 | არ აქვს | 5 | | | | | | | |
| 2 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 1 | არ აქვს | 4 | | | | | | | |
| 3 | უცხოური ენა: | | 3 | | | | | | | |
| 3.1 | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1T | ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა ინგლისური ენა | | | | | | | | |
| 3.2 | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1 T | არ აქვს | | | | | | | | |
| 3.3 | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1 T | არ აქვს | | | | | | | | |
| 3.4 | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1 T | არ აქვს | | | | | | | | |
| 4 | გარემოს დაცვა და ეკოლოგია | არ აქვს | 3 | | | | | | | |
| 5 | მენეჯმენტის საფუძვლები | არ აქვს | 5 | | | | | | | |
| 6 | ბიზნესის საფუძვლები | არ აქვს | 4 | | | | | | | |
| 7 | შრომის დაცვის საფუძვლები | არ აქვს | 3 | | | | | | | |
| 8 | არჩევითი ჰუმანიტარული მოდული: | | 3 | | | | | | | |
| 8.1 | ფილოსოფიის საფუძვლები | არ აქვს | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.2 | შესავალი ფსიქოლოგიაში | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.3 | საქართველოს ისტორია | | | | | | | | | | |
| 8.4 | სოციოლოგიის შესავალი | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.5 | კულტურა და თანამედროვეობა | | | | | | | | | | |
| 8.6 | ენობრივი კომუკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.7 | პოლიტიკის საფუძვლები | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.8 | ქართული ენა | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.9 | ტექნიკური დიზაინის ისტორია | არ აქვს | | | | | | | | | |
| 8.10 | აკადემიური წერა | არ აქვს | | | | | | | | | |
| 9 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის1 | | 5 | | | | | | | |
| 10 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 2 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 1 | | 4 | | | | | | | |
| 11 | უცხოური ენა: | | | 3 | | | | | | | |
| 11.1 | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2T | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1T | | | | | | | | | |
| 11.2 | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2T | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1T | | | | | | | | | |
| 11.3 | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2T | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1T | | | | | | | | | |
| 11.4 | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2T | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1T | | | | | | | | | |
| 12 | დარგობრივი ბიზნესის საფუძვლები | არ აქვს | | **4** | | | | | | | |
| 13 | მიკროეკონომიკის საფუძვლები | არ აქვს | | 5 | | | | | | | |
| 14 | სამეწარმეო სამართლის საფუძვლები | ბიზნესისი საფუძვლები | | 5 | | | | | | | |
| 15 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | ბიზნესის საფუძვლები | | 4 | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა | მათემატიკა ეკონომისტებისათვის1 | | | 5 | | | | | |
| 17 | მაკროეკონომიკის საფუძვლები | მიკროეკონომიკის საფუძვლები | | | 5 | | | | | |
| 18 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები | მენეჯმენტის საფუძვლები | | | 4 | | | | | |
| 19 | ფირმის ეკონომიკა | მიკროეკონომიკის საფუძვლები | | | 5 | | | | | |
| 20 | ფინანსების საფუძვლები | მენეჯმენტის საფუძვლები | | | 5 | | | | | |
| | თავისუფალი კრედიტები | | | | 6 | | | | | |
| 21 | სტატისტიკის ზოგადი თეორია | ალბათობის თეორა და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის | | | | 5 | | | | |
| 22 | მარკეტინგის საფუძვლები | მაკროეკონომიკის საფუძვლები | | | | 5 | | | | |
| 23 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 1 | | | | | 5 | | | | |
| 23.1 | გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა | არ აქვს | | | | | | | | |
| 23.2 | საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები | არ აქვს | | | | | | | | |
| 23.3 | სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის განვითარება საქართველოში | არ აქვს | | | | | | | | |
| 24 | ეკონომეტრიკის საფუძვლები | ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა | | | | 5 | | | | |
| 25 | ლოგისტიკის საფუძვლები | ფირმის ეკონომიკა | | | | 5 | | | | |
| 26 | ფინანსური აღრიცხვა | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | | | | 5 | | | | |
| 27 | სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი | მარკეტინგის საფუძვლები | | | | | 5 | | | |
| 28 | ფირმის მენეჯმენტი 1 | მიკროეკონომიკა | | | | | 5 | | | |
| 29 | სოციალური ეკონომიკა | მიკროეკონომიკა | | | | | **5** | | | |
| 30 | საქართველოს | ფირმის ეკონომიკა | | | | | **5** | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტი | | | | | | | | | |
| 31 | მენეჯმენტი სატრანსპორტო ფირმებში | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | **5** | | | |
| 32 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 2 | | | | | | 5 | | | |
| 32.1 | საერთაშორისო მენეჯმენტი | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | | | |
| 32.2 | საგარეო ეკონომიკური კავშირები | ფინანსების საფუძვლები | | | | | | | | |
| 33 | ფირმის მენეჯმენტი 2 | ფირმის მენეჯმენტი1 | | | | | | 5 | | |
| 34 | სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | 5 | | |
| 35 | კორპორაციის ფინანსები | ფინანსების საფუძვლები | | | | | | 5 | | |
| 36 | სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება | ლოგისტიკის საფუძვლები | | | | | | **5** | | |
| 37 | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | მარკეტინგის საფუძვლები | | | | | | **5** | | |
| 38 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 3 | | | | | | | 5 | | |
| 38.1 | ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 38.2 | მმართველობითი აღრიცხვა | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 39 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 4 | | | | | | | | 5 | |
| 39.1 | საგადასახადო საქმე | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 39.2 | ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 39.3 | სააუდიტო საქმის ორგანიზაცია | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 39.4 | საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაცია | მაკროეკონომიკა | | | | | | | | |
| 40 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 5 | | | | | | | | 5 | |
| 40.1 | მენეჯმენტის ფსიქოლოგია | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | | | |
| 40.2 | სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები | ფირმის მენეჯმენტი 2 | | | | | | | | |
| 41. | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 6 | | | | | | | | 5 | |
| 41.1 | ინოვაციური | სისტემათა ინჟინერინგის | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მენეჯმენტის საფუძვლები | საფუძვლები | | | | | | | | |
| 41.2 | ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში | სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები | | | | | | | | |
| 42. | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 7 | | | | | | | | 5 | |
| 42.1 | პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 42.2 | ხარისხის მენეჯმენტი | კორპორაციის ფინანსები | | | | | | | | |
| 43 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 8 | | | | | | | | 5 | |
| 43.1 | გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | | | | | | | | |
| 43.2 | გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | | | | | | | | |
| 43.3 | სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | | | | | | | | |
| 44 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 9 | | | | | | | | 5 | |
| 44.1 | გემის მენეჯმენტის საფუძვლები | საქართველოს ტრანსპორტი | | | | | | | | |
| 44.2 | საზღვაო პორტის მართვის საფუძვლები | საქართველოს ტრანსპორტი | | | | | | | | |
| | თავისუფალი კომპონენტები | | | | | | | | | 15 |
| 45 | საწარმოო პრაქტიკა | ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | | | 5 |
| 46 | საბაკალავრო ნაშრომი | ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | | | 10 |
| | | **სემესტრში** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** |
| | | **წელიწადში** | **60** | | **60** | | **60** | | **60** | |
| | | **სულ** | **240** | | | | | | | |

## თავისუფალი კომპონენტები

| № | საგანი | დაშვების წინაპირობა | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|
| 47 | საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები | არ აქვს | 3 |
| 48 | ავტომობილის კონსტრუქციული უსაფრთხოება | არ აქვს | 3 |
| 49 | მართვა მარტივად | არ აქვს | 3 |
| 50 | მგზავრთა გადაყვანა მეტროპოლიტენში | არ აქვს | 3 |
| 51 | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | არ აქვს | 3 |
| 52 | საინფორმაციო უზრუნველყოფა ტრანსპორტზე | არ აქვს | 3 |
| 53 | სამაცივრო ტრანსპორტი | არ აქვს | 3 |
| 54 | წარმატების სტრატეგია | არ აქვს | 3 |
| 55 | სოციალური პროგრესი და ავტომობილი | არ აქვს | 3 |
| 56 | რკინიგზის მშენებლობის ისტორია - | არ აქვს | 3 |
| 57 | მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია | არ აქვს | 3 |
| 58 | წიგნის ხელოვნების განვითარების ეტაპები | არ აქვს | 3 |
| 59 | საგამომცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა | არ აქვს | 3 |
| 60 | შრიფტის მხატვრული კულტურა ბეჭდვით ხელოვნებაში | არ აქვს | 3 |
| 61 | ბეჭდვითი რეკლამა | არ აქვს | 3 |
| 62 | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | არ აქვს | 3 |
| 63 | მეტყევეობის საფუძვლები | არ აქვს | 3 |
| 64 | ხე-ტყის სახერხი წარმოება | არ აქვს | 3 |
| 65 | ქართული ნაციონალური კოსტუმი--კეტერი | არ აქვს | 3 |
| 66 | კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw) | არ აქვს | 3 |
| 67 | ქართული ხალხური რეწვა | არ აქვს | 3 |
| 68 | ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში | არ აქვს | 3 |
| 69 | საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR) | არ აქვს | 3 |
| 70 | მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა და აქსესუარების მასალაში შესრულება | არ აქვს | 3 |
| 71 | საქართველოს ეკონომიკა | არ აქვს | 3 |
| 72 | მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია | არ აქვს | 3 |

## სწავლის შედეგების რუკა

| | საგანი | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 | + | + | | | + | |
| 2 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები **1** | + | + | + | | + | |
| 3 | უცხოური ენა: | + | + | | + | + | |
| 3.1 | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | + | + | | + | + | |
| 3.2 | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | + | + | | + | + | |
| 3.3 | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | + | + | | + | + | |
| 3.4 | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | + | + | | + | + | |
| 4 | გარემოს დაცვა და ეკოლოგია | + | + | | | + | + |
| 5 | მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 6 | ბიზნესის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 7 | შრომის დაცვის საფუძვლები | + | + | + | | + | |
| 8 | არჩევითი ჰუმანიტარული მოდული: | | | | | | |
| 8.1 | ფილოსოფიის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 8.2 | შესავალი ფსიქოლოგიაში | + | + | | + | + | |
| 8.3 | საქართველოს ისტორია | + | + | + | + | + | |
| 8.4 | სოციოლოგიის შესავალი | + | + | + | | + | + |
| 8.5 | კულტურა და თანამედროვეობა | + | + | | | + | + |
| 8.6 | ენობრივი კომუკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები | + | + | | + | + | |
| 8.7 | პოლიტიკის საფუძვლები | + | + | | + | + | |
| 8.8 | ქართული ენა | + | + | | + | | |
| 8.9 | ტექნიკური დიზაინის ისტორია | + | + | | | + | |
| 8.10 | აკადემიური წერა | + | + | | + | + | |
| 9 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2 | + | + | | + | + | |
| 10 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 2 | + | + | + | | + | |
| 11 | უცხოური ენა: | | | | | | |
| 11.1 | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | + | + | | + | + | + |
| 11.2 | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | + | + | | + | + | |
| 11.3 | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | + | + | | + | + | |
| 11.4 | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | + | + | | + | + | |
| 12 | დარგობრივი ბიზნესის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 13 | მიკროეკონომიკის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 14 | სამეწარმეო სამართლის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 15 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 16 | ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა | + | + | + | | + | + |
| 17 | მაკროეკონომიკის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 18 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 19 | ფირმის ეკონომიკა | + | + | + | | + | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | ფინანსების საფუძვლები | + | + | + | | + | |
| 21 | სტატისტიკის ზოგადი თეორია | + | + | + | + | + | |
| 22 | მარკეტინგის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 23.1 | გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა | + | + | | | + | |
| 23.2 | საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები | + | + | | | + | + |
| 23.3 | სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის განვითარება საქართველოში | + | + | | | + | |
| 24 | ეკონომეტრიკის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 25 | ლოგისტიკის საფუძვლები | + | + | + | | + | |
| 26 | ფინანსური აღრიცხვა | + | + | + | | + | |
| 27 | სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი | + | + | | | + | |
| 28 | ფირმის მენეჯმენტი 1 | + | + | + | | + | + |
| 29 | სოციალური ეკონომიკა | + | + | | | + | |
| 30 | საქართველოს ტრანსპორტი | + | | + | | + | |
| 31 | მენეჯმენტი სატრანსპორტო ფირმებში | + | + | | | + | |
| 32.1 | საერთაშორისო მენეჯმენტი | + | + | | + | + | |
| 32.2 | საგარეო ეკონომიკური კავშირები | + | + | | + | + | |
| 33 | ფირმის მენეჯმენტი 2 | + | + | | | + | + |
| 34 | სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები | + | + | + | | | |
| 35 | კორპორაციის ფინანსები | + | + | + | | + | |
| 36 | სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება | + | + | | | + | |
| 37 | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | + | + | | | + | + |
| 38.1 | ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | + | | | |
| 38.2 | მმართველობითი აღრიცხვა | + | + | | | + | |
| 39.1 | საგადასახადო საქმე | + | + | | | + | + |
| 39.2 | ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი | + | + | + | | + | + |
| 39.3 | სააუდიტო საქმის ორგანიზაცია | + | + | + | | + | + |
| 39.4 | საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაცია | + | + | + | | + | |
| 40.1 | მენეჯმენტის ფსიქოლოგია | + | + | | | + | |
| 40.2 | სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 41.1 | ინოვაციური მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | + | | + | |
| 41.2 | ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში | + | + | + | | + | |
| 42.1 | პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 42.2 | ხარისხის მენეჯმენტი | + | + | | | + | |
| 43.1 | გადაზიდვების ორანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე | + | + | | | + | + |
| 43.2 | გადაზიდვების ორანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე | + | + | + | | + | |
| 43.3 | სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები | + | + | | | + | + |
| 44.1 | გემის მენეჯმენტის საფუძვლები | + | + | | | + | + |
| 44.2 | საზღვაო პორტის მართვის საფუძვლები | + | + | | | + | |
| 45 | საწარმოო პრაქტიკა | + | + | + | + | + | + |
| 46 | საბაკალავრო ნაშრომი | + | + | + | + | + | + |
| 47 | საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები | + | + | | + | | |
| 48 | ავტომობილის კონსტრუქციული უსაფრთხოება | + | + | + | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 49 | მართვა მარტივად | + | + | | | | + |
| 50 | მგზავრთა გადაყვანა მეტროპოლიტენში | + | + | + | | | |
| 51 | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | + | + | + | | | |
| 52 | საინფორმაციო უზრუნველყოფა ტრანსპორტზე | + | + | | + | | |
| 53 | სამაცივრო ტრანსპორტი | + | + | + | | | |
| 54 | წარმატების სტრატეგია | + | + | | | + | |
| 55 | სოციალური პროგრესი და ავტომობილი | + | + | | | + | |
| 56 | რკინიგზის მშენებლობის ისტორია - | + | + | + | + | | |
| 57 | მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია | + | + | + | + | | |
| 58 | წიგნის ხელოვნების განვითარების ეტაპები | + | + | | | + | |
| 59 | საგამომცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა | + | + | | | + | |
| 60 | შრიფტის მხატვრული კულტურა ბეჭდვით ხელოვნებაში | + | + | | | + | |
| 61 | ბეჭდვითი რეკლამა | + | + | | | + | |
| 62 | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | + | + | + | | | |
| 63 | მეტყევეობის საფუძვლები | + | + | + | | + | |
| 64 | ხე-ტყის სახერხი წარმოება | + | + | + | | + | |
| 65 | ქართული ნაციონალური კოსტუმი--კეტერი | + | + | + | | | |
| 66 | კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw) | + | + | + | | | |
| 67 | ქართული ხალხური რეწვა | + | + | | | | |
| 68 | ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში | + | + | + | | | |
| 69 | საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR) | + | + | + | | | |
| 70 | მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა და აქსესუარების მასალაში შესრულება | + | + | + | | | |
| 71 | საქართველოს ეკონომიკა | + | + | | | + | + |
| 72 | მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია | + | + | | | + | + |

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

| № | საგნის კოდი | საათები / საგანი | ECTS კრედიტი\ საათი | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუალედური | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **MAS32708G1** | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 | 5/125 | 15 | | 30 | | | | 1 | 1 | 78 |
| 2 | **ICT19005G1** | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები **1** | 4/100 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 68 |
| 3 | | უცხოური ენა: | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 3.1 | **LEH14412G1** | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 3.2 | **LEH15012G1** | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 3.3 | **LEH14812G1** | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 3.4 | **LEH14612G1** | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 1T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 4 | **EET20704G1** | გარემოს დაცვა და ეკოლოგია | 3/75 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 43 |
| 5 | **BUA37905G1** | მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |

| № | საგნის კოდი | საათები / საგანი | ECTS კრედიტი\ საათი | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუასემესტრული | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | BUA45005G1 | ბიზნესის საფუძვლები | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 7 | MAS32808G1 | შრომის დაცვის საფუძვლები | 3/75 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 43 |
| 8 | | არჩევითი ჰუმანიტარული მოდული: | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.1 | HEL30212G1 | ფილოსოფიის საფუძვლები | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.2 | SOS30312G1 | შესავალი ფსიქოლოგიაში | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.3 | HEL20212G1 | საქართველოს ისტორია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.4 | SOS40312G1 | სოციოლოგიის შესავალი | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.5 | SOS40112G1 | კულტურა და თანამედროვეობა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.6 | LEH12012G1 | ენობრივი კომუკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.7 | BOP0007GA1 | პოლიტიკის საფუძვლები | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.8 | GEL0007GA1 | ქართული ენა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.9 | ART20305G1 | ტექნიკური დიზაინის ისტორია | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 8.10 | LEH12112G1 | აკადემიური წერა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 9 | MAS32808G1 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2 | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 10 | ICT19105G1 | კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 2 | 4/100 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 68 |
| 11 | | უცხოური ენა: | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 11.1 | LEH14512G1 | ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 11.2 | LEH15112G1 | გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 11.3 | LEH14912G1 | ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 11.4 | LEH14712G1 | რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის- 2T | 3/75 | | | 30 | | | | 1 | 1 | 43 |
| 12 | BUA31205G2 | დარგობრივი ბიზნესის საფუძვლები | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 13 | SOS12305G1 | მიკროეკონომიკის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 14 | LAW10305G1 | სამეწარმეო სამართლის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 15 | BUA31805G2 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 16 | MAS34608G1 | ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა | 5/125 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 78 |
| 17 | SOS12505G1 | მაკროეკონომიკის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 18 | BUA38005G1 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 19 | SOS12605G1 | ფირმის ეკონომიკა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 20 | BUA27505G1 | ფინანსების საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 21 | MAS22205G2 | სტატისტიკის ზოგადი თეორია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |

| № | საგნის კოდი | საათები / საგანი | ECTS კრედიტი\ საათი | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუასემესტრული | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | BUA52805G1 | მარკეტინგის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 23.1 | SOS13005G1 | გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 23.2 | BUA45805G1 | საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 23.3 | BUA45705G1 | სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის განვითარება საქართველოში | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 24 | MAS14505G1 | ეკონომეტრიკის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 25 | BUA45105G1 | ლოგისტიკის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 26 | BUA27605G1 | ფინანსური აღრიცხვა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 27 | BUA52905G2 | სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 28 | BUA38105G1 | ფირმის მენეჯმენტი 1 | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 29 | SOS13305G1 | სოციალური ეკონომიკა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 30 | SOS13105G1 | საქართველოს ტრანსპორტი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 31 | TRS10305G1 | მენეჯმენტი სატრანსპორტო ფირმებში | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 32.1 | BUA45205G1 | საერთაშორისო მენეჯმენტი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 32.2 | BUA38405G1 | საგარეო ეკონომიკური კავშირები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 33 | BUA38205G1 | ფირმის მენეჯმენტი 2 | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 34 | BUA33405G2 | სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 35 | BUA23505G2 | კორპორაციის ფინანსები | 5 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 36 | LAW10405G1 | სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 37 | BUA45205G1 | საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 38.1 | BUA27805G1 | ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 38.2 | TRS10605G1 | მმართველობითი აღრიცხვა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 39.1 | BUA11605G1 | საგადასახადო საქმე | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 39.2 | SOS13205G1 | ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 39.3 | BUA14405G2 | სააუდიტო საქმის ორგანიზაცია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 39.4 | BUA27905G1 | საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაცია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 40.1 | BUA38505G1 | მენეჯმენტის ფსიქოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 40.2 | TRS10505G1 | სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 41.1 | BUA45305G1 | ინოვაციური მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 41.2 | SOS14905G1 | ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |

| № | საგნის კოდი | საათები / საგანი | ECTS კრედიტი\ საათი | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუასემესტრული | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 42.1 | **BUA38805G1** | პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 42.2 | **BUA45405G1** | ხარისხის მენეჯმენტი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 43.1 | **TRS10105G1** | გადაზიდვების ორანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე | 5/125 | 30 | | 15 | | | | 1 | 1 | 78 |
| 43.2 | **SUM35405G1** | გადაზიდვების ორანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე | 5/125 | 15 | | 30 | | | | 1 | 1 | 78 |
| 43.3 | **SUM35605G1** | სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 44.1 | **BUA35705G1** | გემის მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 44.2 | **BUA45905G1** | საზღვაო პორტის მართვის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 45 | **BUA35905G1** | საწარმოო პრაქტიკა | 5/125 | | | | | 90 | | 1 | 1 | 33 |
| 46 | **BUA35305G1** | საბაკალავრო ნაშრომი | 10/250 | | | | | | 90 | 2 | 3 | 155 |
| 47 | **EET93405G1** | საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 48 | **EET94005G1** | ავტომობილის კონსტრუქციული უსაფრთხოება | 3/75 | 30 | | | | | | 1 | 1 | 43 |
| 49 | **BUA37205G1** | მართვა მარტივად | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 50 | **EET98305G1** | მგზავრთა გადაყვანა მეტროპოლიტენში | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 51 | **EET92605G1** | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 52 | **EET92505G1** | საინფორმაციო უზრუნველყოფა ტრანსპორტზე | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 53 | **EET92805G1** | სამაცივრო ტრანსპორტი | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 54 | **BUA37105G1** | წარმატების სტრატეგია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 55 | **SOS13005G1** | სოციალური პროგრესი და ავტომობილი | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 56 | **EET93505G1** | რკინიგზის მშენებლობის ისტორია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 57 | **EET93905G1** | მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 58 | **MAP22805G1** | წიგნის ხელოვნების განვითარების ეტაპები | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 59 | **MAP22705G1** | საგამომცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 60 | **MAP21705G1** | შრიფტის მხატვრული კულტურა ბეჭდვით ხელოვნებაში | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 61 | **MAP21605G1** | ბეჭდვითი რეკლამა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 62 | **EET92605G1** | საგარდამქმნელო ტექნიკური საშუალებები ტრანსპორტზე | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 63 | **MAP21405G1** | მეტყველების საფუძვლები | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |

| № | საგნის კოდი | საათები / საგანი | ECTS კრედიტი\ საათი | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუასემესტრული | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 64 | MAP21505G1 | ხე-ტყის სახერხი წარმოება | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 65 | MAP31205G1 | ქართული ნაციონალური კოსტუმი | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 66 | MAP31605G1 | კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw) | 3/75 | | | | 30 | | | 1 | 1 | 43 |
| 67 | MAP31705G1 | ქართული ხალხური რეწვა | 3/75 | | 30 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 68 | MAP31405G1 | ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 69 | MAP31505G1 | საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR) | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 70 | MAP30905G1 | მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა და აქსესუარების მასალაში შესრულება | 3/75 | | 30 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 71 | SOS16105G2 | საქართველოს ეკონომიკა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 72 | SOS17305G1 | მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |

პროგრამის ხელმძღვანელი მურმან ბლიაძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი ოთარ გელაშვილი

**მიღებულია**
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე,
ოქმი №15, 03 . 07. 2012 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ირმა ინაშვილი

**მოდიფიცირებულია**
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
30.03.2018 წელი, ოქმი N4
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი